

მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47² მუხლისა და ევროკომისიის 2010/267/EU, 2012/688/EU და 2011/251/EU გადაწყვეტილებებით განსაზღვრული CEPT-ის (სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ევროპული ადმინისტრაციების კონფერენცია) მიერ შემუშავებული ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ“ კომისიის 2015 წლის 12 ივნისის № 1 და 2015 წლის 10 ნოემბერის № 11 დადგენილებებით განხორციელდა ცვლილებები რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმაში;

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47² და 47³ მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით, განხორციელდა რიგი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მოდიფიცირება 900მჰც 1800მჰც და 2100მჰც დიაპაზონებში, 15 წლის ვადით, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად;

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით შპს „მაგთიკომმა“ დათმო 800 მჰც დიაპაზონის F1 ლიცენზიით განსაზღვრული - 838.365-842.055 მჰც და 883.365 - 887.055 მჰც რადიოსიხშირული რესურსისა და 2100 მჰც დიაპაზონში თავის სარგებლობაში არსებული 2X15 მჰც სიხშირული რესურსი;

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, ხელმისაწვდომი გახდა 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში რადიოსიხშირული რესურსი, კერძოდ, 800 მჰც დიაპაზონში - 2X20 მჰც, 900 მჰც დიაპაზონში - 2X4,5 მჰც, 1800 მჰც დიაპაზონში - 2X5 მჰც და 2100მჰც დიაპაზონში - 2X15 მჰც სიხშირული რესურსი.

კომისია, ასევე აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომმა“ წერილობით მიმართა კომისიას (№6/5893-15 17.08.2015; №6/6385-15 31.08.2015; №7/5233-15 27.07.15 №6/8767-15 13.11.2015) ჰარმონიზებულ 800 მჰც დიაპაზონში აუქციონის გამოცხადების მოთხოვნით.

კომისიამ, თავის მხრივ, 2015 წლის 19 ივნისის კომისიის ვებ-გვერდზე ინტერნეტში გამოაქვეყნა დოკუმენტი (<http://gncc.ge/uploads/other/1/1347.pdf>), რომელიც ასახავს უსადენო ფართოზოლოვანი მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ (800/900/1800 მჰც და დაწყვილებულ 2100 მჰც) დიაპაზონებში აუქციონების ჩატარების (მე-2 ფაზა) მიმართ კომისიის ხედვას და სხვა კანდიდატი დიაპაზონების მიმართ სამომავლო მიდგომას. ასევე, 2015 წლის 24 აგვისტოს გამოქვეყნდა საკონსულტაციო დოკუმენტი (<http://gncc.ge/uploads/other/1/1550.pdf>), რომელიც განსაზღვრავს 800/900/1800მჰც და დაწყვილებულ 2100მჰც დიაპაზონებში აუქციონების ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხის მიმართ კომისიისა და დაინტერესებული პირების მოსაზრებებს. ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიზანი იყო ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პოტენციური ინვესტორების დაგეგმილი აუქციონების შესახებ წინასწარი ინფორმირება, 800/900/1800 მჰც და დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონებში ხელმისაწვდომ რესურსზე (ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე) არსებული მოთხოვნის წინასწარი იდენტიფიცირება, დაინტერესებული პირებისაგან აუქციონების ჩატარების საკითხებზე მოსაზრებების მიღება, გაანალიზება, პასუხების გაცემა და დაინტერესებული პირებისათვის სხვა კანდიდატი (700 მჰც, 1,5 გჰც, 2,3 გჰც) დიაპაზონების მიმართ კომისიის სავარაუდო სამომავლო ხედვის/მიდგომების გაცნობა.

2015 წლის 3 ნოემბერს კომისიამ, დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობითა და არგუმენტირებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიიღო დადგენილება № 10 „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბერის N13 დადგენილებაში ცვლილება-დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლითაც განისაზღვრა კონკრეტული და/ან მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული დიაპაზონების ფარგლებში

ხელმისაწვდომ რადიოსიხშირულ რესურსზე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის/ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების ჩატარების წესები და პირობები.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ ხელმისაწვდომ დიაპაზონებში შესაძლო ხელშეშლების იდენტიფიცირების მიზნით, კომისიის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტმა შეისწავლა მე-20 დიაპაზონში (791-862 მჰც სიხშირული ზოლი) არსებული ვითარება, როგორც LTE ტექნოლოგიისათვის განკუთვნილ ბლოკებში (downlink და uplink), ასევე Duplex Gap-ში დანერგილი CDMA ტექნოლოგიის ზეგავლენა აღნიშნულ დიაპაზონზე. სატესტო გაზომვები ტარდებოდა მიმდინარე წლის 14-15 იანვარს, კომისიის კუთვნილი "Rohde&Schwarz TSMW" სიხშირული სპექტრის ანალიზატორით და "ROMES"-ის პროგრამული კომპლექსის გამოყენებით. გაზომვებისათვის შეირჩა ქ. ქუთაისში არსებული ობიექტი (გეოგრაფიული კოორდინატები E42°41'34.8", N42°15'00.4"), სადაც კონცენტრირებულია, როგორც მობილური ასევე ფიქსირებული უსადენო ქსელის მფლობელი ოპერატორების (შპს „მაგთიკომის“, შპს „ჯეოსელის“, შპს „მობიტელის“, სს „სილქნეტის“) მიმღებ-გადამცემი მოწყობილობები. გაზომვების შედეგები და რეკომენდაციები გაეგზავნათ საქართველოს მობილურ ბაზარზე მოქმედ ქსელის ოპერატორებს, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

კომისია აღნიშნავს, რომ არსებობს შესაძლო ხელშეშლები გარემოებები 800 მჰც დიაპაზონში სიხშირეების გამოყენებით მობილური ქსელების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. კერძოდ პრობლემას ქმნის CDMA 850 ტექნოლოგიისთვის სს „სილქნეტის“ სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F11 ლიცენზია. აღნიშნული ლიცენზიით გათვალისწინებული რესურსის გამოყენებით ხორციელდება 66 855 აბონენტისთვის (2015 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით) ფიქსირებული და მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება. გასათვალისწინებელია, რომ ერთი მხრივ, პრობლემები შეიძლება შეექმნათ ლიცენზიის იმ მაძიებლებს, რომლებიც აუქციონში გამარჯვების შედეგად, 800 მჰც დიაპაზონში, მოპოვებული ლიცენზიით დაიწყებენ მე-4 თაობის სატელეკომუნიკაციო ფართოზოლოვანი მომსახურების მისაწოდებლად საქმიანობას და მეორე მხრივ, სს „სილქნეტს“. კომისია აღნიშნავს, რომ რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 27 იანვრის №შ-10/820-16 მოხსენებით ბარათზე და საერთაშორისო კვლევებზე დაყრდნობით შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ კონკრეტულად ხელშეშლები მოსალოდნელია Up-link 832-837, Down-link 791-796 და Up-link 857-862, Down-link 816-821 ზოლებში, რამეთუ ზოგადად 821-824 მჰც დიაპაზონი ქმნის სასაზღვრო ზონას LTE 800-ის down-link-სა და CDMA 850 –ის Up-link-ს შორის; ამავე დროს 832 მჰც სიხშირეზე გადის საზღვარი CDMA 850 –ის Up-link-სა და LTE 800-ის Up-link-ს შორის; 862-869 მჰც ზოლი ქმნის სასაზღვრო ზონას LTE 800-ის Up-link-სა და CDMA 850 –ის down-link-ს შორის. CDMA საბაზო სადგურის გადაცემამ შესაძლებელია მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა GSM/UMTS საბაზო სადგურის მიმღებ ტრაქტზე და პირიქით.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47³ მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი ითვალისწინებს კომისიის უფლებამოსილებას შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ მოსთხოვოს ლიცენზიის მფლობელს არსებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიით გათვალისწინებული რადიოსიხშირეების მთლიანად ან ნაწილობრივ დათმობა რადიოსიხშირული დიაპაზონების ჰარმონიზებული ტექნიკური ნორმებისა და პარამეტრების შესაბამისად დაგეგმვისა და დანაწილების მიზნით, „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმაში“ ისეთი ცვლილების შეტანისას, რომელიც შეუძლებელს ხდის არსებული და ახალდაგეგმილი ან დანაწილებული რადიოსიხშირეების ტექნიკური ნორმებისა და პარამეტრების ერთად შენარჩუნებას, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანაარსებობას. კანონის ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47³ მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობა, გადახდის პირობები და ფორმა განისაზღვრება კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას მიაჩნია, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47³ მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით,

საქართველოს მთავრობასთან უნდა შეთანხმდეს შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ სს „სილქნეტის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F11 ლიცენზიის გაუქმების საკითხი.

კომისია მიიჩნევს, რომ მობილურ/უსადენო ბაზარზე კონკურენტული, გამჭვირვალე და განჭვრეტადი საინვესტიციო გარემოს შექმნის მიზნით (რაც მარეგულირებლის უმთავრესი ფუნქციაა) აუცილებელია უსადენო/მობილური ფართოზოლოვანი სისტემებისათვის განკუთვნილ ერთიდაიგივე და/ან მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირულ დიაპაზონებში ხელმისაწვდომი რესურსი აუქციონებზე გამოვიდეს ერთდროულად. აღნიშნული საშუალებას მისცემს ბაზრის არსებულ მონაწილეებს, ისევე როგორც ახალშემომსვლელებს (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), ადეკვატურად განსაზღვრონ თავიანთი ბიზნეს მოდელი და ბაზარზე კონკურენციის შესაბამისი დონის შენარჩუნების/უზრუნველყოფის მიზნით კომისიის მიერ დადგენილი რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში (ე.წ. „Spectrum Cap“) მოიპოვონ მათთვის სასურველი რესურსი.

კომისია აღნიშნავს, რომ ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებებით (ევროკომისიის 2010/267/EU, 2012/688/EU და 2011/251/EU) რეკომენდებულია უსადენო/მობილური მიწისზედა სისტემებისათვის განკუთვნილ დიაპაზონებში რადიოსიხშირული რესურსის გაცემა განხორციელდეს 5 მჰც-იანი ბლოკების ჯერად; კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ვინაიდან 900 მჰც დიაპაზონში ხელმისაწვდომია მხოლოდ 2X4,5 მჰც, ხოლო 1800 მჰც დიაპაზონში - 2X5 მჰც რესურსი, აღნიშნულ დიაპაზონებში ხელმისაწვდომი რესურსი აუქციონებზე გამოვა დამოუკიდებელი ლიცენზიების სახით; ხოლო რაც შეეხება 800 მჰც და 2100 მჰც დიაპაზონებში ხელმისაწვდომ რესურსს, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია 2X5 მჰც რესურსზე მეტი (5 მჰც-იანი ბლოკების ჯერადი) რესურსის გაერთიანება სააუქციონოდ გამოტანილი ლიცენზიების ფარგლებში, კომისია მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია 800 მჰც დიაპაზონში ხელმისაწვდომი 2x20 მჰც და 2100 მჰც დიაპაზონში ხელმისაწვდომი 2x15 მჰც რესურსიც აუქციონებზე გამოვიდეს 2X5 მჰც-იანი ბლოკების (ლიცენზიების) სახით, რაც აუქციონის მონაწილეებს მოქნილად ქმედების საშუალებას მისცემს განსაზღვრული ბიზნეს მოდელის უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსის მოპოვების კუთხით.

კომისია აღნიშნავს, რომ ლიცენზიის მფლობელების მომიჯნავე (თანმიმდევრულ) ბლოკებზე დაშვების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, 800 მჰც დიაპაზონში, ორი 2x5 მჰც-იანი (832-837 და 791-796 მჰც; 857-862 და 816-821 მჰც) სიხშირული ზოლი აუქციონზე გამოტანილ იქნეს კონკრეტული ბლოკების სახით; ხოლო, ორი 2x5 მჰც-იანი (837-847 და 796-806 მჰც) სიხშირული ზოლი – აბსტრაქტული ბლოკების სახით; აგრეთვე, 2100 მჰც დიაპაზონში არსებული 1935-1950მჰც და 2125-2140 მჰც სამი 2x5 მჰც-იანი სიხშირული ზოლები – აბსტრაქტული ბლოკების სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას მიაჩნია, რომ აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ლიცენზიის მფლობელების მომიჯნავე (თანმიმდევრულ) სიხშირულ რესურსზე დაშვება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- აუქციონში მონაწილე პირისათვის, რომელიც მოიპოვებს 800 მჰც დიაპაზონში რომელიმე კონკრეტულ ბლოკზე ლიცენზიას და ამავედროულად მოიპოვებს რომელიმე აბსტრაქტულ ბლოკზე ლიცენზიას, კომისია უზრუნველყოფს ამ პირის დაშვებას, მის მიერ მოპოვებული კონკრეტული ბლოკის მომიჯნავე ბლოკზე;

- თუ მოპოვებული კონკრეტული ბლოკი არის 857-862 და 816-821 მჰც დიაპაზონში, კომისია უზრუნველყოფს შპს „მობიტელთან“ მოლაპარაკებას, მის მიერ დაკავებულ დიაპაზონებში გადანაცვლებასთან დაკავშირებით, რათა გამოანთავისუფლოს 857-862 და 816-821 მჰც დიაპაზონის მომიჯნავე ბლოკი.

დიაპაზონი	აუქციონი	ლიცენზიის ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც)	ლიცენზიის ტიპი	ლიცენზიის შესაბამისი რესურსი		ხელმისაწვდომობის თარიღი
				Up-link	Down-link	
800 მჰც	№1	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული	837-847	796-806	ხელმისაწვდომი ლიცენზიის გაცემის

			რესურსით			დღიდან
	№2	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	837-847	796-806	
	№3	2 x 5	კონკრეტული სიხშირული რესურსით	832-837	791-796	
	№4	2 x 5	კონკრეტულის იხშირული რესურსით	857-862	816-821	
900 მჰც	№5	2 x 4.5	კონკრეტული სიხშირული რესურსით	880-884.5	925-929.5	ხელმისაწვდომი ლიცენზიის გაცემის დღიდან
1800 მჰც	№6	2 x 5	კონკრეტული სიხშირული რესურსით	1770-1775	1865-1870	ხელმისაწვდომი ლიცენზიის გაცემის დღიდან
2100 მჰც	№7	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	1935- 1950	2125-2140	ხელმისაწვდომი 2017 წლის 1 სექტემბრიდან
	№8	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	1935- 1950	2125-2140	
	№9	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	1935- 1950	2125-2140	

კომისია აღნიშნავს, რომ დაფარვის ვალდებულების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დიაპაზონის მახასიათებლები და აუქციონში გამარჯვებულის მიერ ბაზარზე დაკავებული პოზიცია (არსებული მობილური ოპერატორი და ახალშემოსვლეელი). კომისიას მიაჩნია რომ 800 მჰც დიაპაზონის ლიცენზიებისთვის უნდა განისაზღვროს ე.წ. „სერვის-დეფიციტური“ რეგიონების შესაბამისი ქსელებით დაფარვის ვალდებულება დროის გონივრული პერიოდის გათვალისწინებით. კომისია, ასევე აღნიშნავს, რომ ვიანიდან 800 მჰც დიაპაზონს სხვა, დაბალსიხშირული დიაპაზონების მსგავსად, სიგნალის გავრცელებისა და შენობა-ნაგებობებში შეღწევის კუთხით (რაც ნაკლებ დანახარჯებს (ნაკლებ საიტებს) საჭიროებს ტერიტორიის დაფარვის კუთხით), მაღალსიხშირულ (1800/2100 მჰც) დიაპაზონებთან შედარებით უკეთესი მახასიათებელი გააჩნია, ამიტომ იგი გამოიყენება სწორედ ეროვნული მასშტაბით დაფარვის ადეკვატური დონის უზრუნველსაყოფად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, წინამდებარე აუქციონის ფარგლებში, 800მჰც სიხშირულ ზოლში მოპოვებული ლიცენზიების პირობად განისაზღვროს დაფარვის შემდეგი ვალდებულება:

ა) თუ აუქციონის გამართვის მომენტისათვის გამარჯვებული პირი უკვე ფლობს ან აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გახდება კომისიის მიერ განსაზღვრული 800/900/1800 მჰც დიაპაზონებში ერთობლივად 2x30მჰც ან მეტი სიხშირული რესურსის მფლობელი, იგი ვალდებული იქნება უზრუნველყოს მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს იმ დასახლებული პუნქტებისათვის (მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა), სადაც საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის და შემდგომში – უახლესი საყოველთაო აღწერის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა), შემდეგი პირობებით:

მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტების მინიმუმ:		
1.	30%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის ვადაში

2.	50%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ორი წლის ვადაში
3.	70% -თვის	ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის ვადაში
4.	90%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ხუთი წლის ვადაში

შენიშვნა: დასახლებულ პუნქტში მომსახურების ხელმისაწვდომობა არის განსაზღვრული ხარისხის მომსახურების სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოსახლეობის 100%-თვის;

ბ) თუ აუქციონში გამარჯვებული პირი 800/900/1800 მჰც დიაპაზონებში ერთობლივად გახდება 2x30მჰც სიხშირული რესურსზე ნაკლების მფლობელი, იგი ვალდებული იქნება უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობისათვის (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა შემდეგი პირობებით:

მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტების მინიმუმ:		
1.	30%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის ვადაში
2.	50%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ორი წლის ვადაში
3.	70% -თვის	ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის ვადაში
4.	90%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ხუთი წლის ვადაში

შენიშვნა: დასახლებულ პუნქტში მომსახურების ხელმისაწვდომობა არის განსაზღვრული ხარისხის მომსახურების სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოსახლეობის 100%-თვის;

გ) თუ აუქციონის გამართვის მომენტისათვის გამარჯვებული პირი უკვე ფლობს ან აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გახდება 800/900მჰც დიაპაზონებში ერთობლივად 2x20მჰც ან მეტი სიხშირული რესურსის მფლობელი, ზემოაღნიშნული ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულ ცენტრებში, ვიზიტორთა ცენტრებში და რეინჯერთა ცენტრებში (იხილეთ დანართი №1-ის სახით დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მოწოდებული 79 ცენტრის ჩამონათვალი, კოორდინატების მითითებით) მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ლიცენზიის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში ეტაპობრივად.

კომისია აღნიშნავს, რომ სალიცენზიო პირობად (ვალდებულებად) ზემოაღნიშნულ ა), ბ) და გ) შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იყოს მომსახურების მიწოდების მინიმალური, სტაბილურად ხელმისაწვდომი ხარისხი, კერძოდ სპექტრალური ეფექტურობა (გაზომილი ერთეულებში - ბიტი/წმ/ჰერცი და ბიტი/წმ/ჰერცი/ფიჰა) ETSI TR 136 912 V.13.0.0 (2016-01) და TR 136 913 V.13.0.0 (2016-01) ტექნიკურ დოკუმენტებში მოყვანილი მახასიათებლების შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მფლობელი მომსახურებას მიაწოდებს LTE ტექნოლოგიის გამოყენებით.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება შეიძლება შეეზღუდოს პირს, რომელიც აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის დამოუკიდებლად ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად არის ან აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გახდება რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტულ მონაკვეთზე (რადიოსიხშირულ დიაპაზონზე) ან მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობაზე აუქციონის გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალურ ოდენობაზე მეტის მფლობელი.

წინამდებარე აუქციონის ფარგლებში, აღნიშნული საკანონმდებლო ნორმიდან გამომდინარე, კომისიამ უნდა მიიღოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, დასადგენი რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნება რადიოსიხშირული რესურსის მართვის კუთხით საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს ბაზარზე რადიოსიხშირების განაწილების მხრივ არსებული სიტუაცია.

თვალსაჩინოებისათვის, კომისია წარმოადგენს ინფორმაციას აუქციონზე გამოტანილი ჰარმონიზებული დიაპაზონების ხელმისაწვდომი და ლიცენზიის მფლობელების სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსის შესახებ, ცხრილის სახით:

დიაპაზონი	სიხშირული რესურსი მჰც						აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი	
	მაგთიკომი		ჯეოსელი		მობიტელი			
800 მჰც	0	0	0	0	2x10	20	40	2x20
900მჰც	2x13.2	26.4	2x11.8	23.6	2x5.49	10.98	9	2x4.5
1800მჰც	2x29.9	59.8	2x29.9	59.8	2x10	20	10	2x5
2100მჰც (დაწყვილებული)	2x15	30	2x16	30	0	0	30	2x15
სულ	2x58.1	116.2	2x56.7	113.4	2x25.49	50.98	89	
სულ 1გჰც-ს ქვემოთ	2x13.2	26.4	2x11.8	23.6	2x15.49	30.98	49	

კომისია, ასევე, აღნიშნავს, რომ საკონსულტაციო პერიოდში, შპს „მობიტელმა“ და შპს „ჯეოსელმა“ აუქციონის ფარგლებში დასადგენი რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის შესახებ წარმოადგინეს საკუთარი პოზიცია. შპს „მობიტელის“ მიერ წარმოდგენილ წერილში (კომისიაში რეგისტრაციის №6/4737-15, 14.07.2015) აღნიშნულია: „მიგვაჩნია, რომ 800 მჰც სიხშირულ დიაპაზონში შპს „მობიტელის“ ე.წ. Cap –ი უნდა განისაზღვროს 5 მჰც ოდენობით. ამასთან, 900 მჰც, 1800 მჰც, 2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში გასამართ აუქციონებში კომპანიებს „მაგთიკომსა“ და „ჯეოსელს“ უნდა შეეზღუდოთ მონაწილეობის მიღება, აღნიშნულ სიხშირულ დიაპაზონებში მათ მიერ სიხშირეთა ჭარბი რაოდენობის ფლობის გამო“. ჯეოსელის მიერ წარმოდგენილ წერილში (კომისიაში რეგისტრაციის №6/4737-15, 14.07.2015) აღნიშნულია: „მიუხედავად იმისა, რომ ოპერატორებს ჰქონდათ შესაძლებლობა 900, 1800 და 2100 დიაპაზონებში შეენარჩუნებინათ სიხშირული რესურსი, იგივე არ ითქმის 700 და 800 მჰც დიაპაზონებზე. ჯეოსელი გათავაზობთ დადგინდეს Spectrum Cap-ი 2x10 მჰც-ს ოდენობით, როგორც 700მჰც, ასევე 800მჰც დიაპაზონებში“.

კომისია, ასევე, აღნიშნავს, რომ წინამდებარე აუქციონით რადიოსიხშირული რესურსის გაცემის მიზანს წარმოადგენს მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება და სერვის-დეფიციტურ რეგიონებში ფართოზოლოვანი მომსახურების ხელმისაწვდომობა. აღნიშნული, თავის მხრივ, გულისხმობს ქსელის ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკურად ეფექტიან, დაბალსიხშირულ (1 გჰც-ს ქვემოთ) ჰარმონიზებულ დიაპაზონებში არსებულ სიხშირულ რესურსზე ხელმისაწვდომობასა და ინფრასტრუქტურულ დონეზე კონკურენციის ხელშეწყობას.

კომისია მიიჩნევს, რომ 800 მჰც დიაპაზონისა და 900 მჰც დიაპაზონს ტექნიკური კუთხით ურთიერთჩანაცვლებადი/მსგავსი მახასიათებლები გააჩნია, რის გამოც მობილურ/უსადენო ბაზარზე ინფრასტრუქტურულ დონეზე გრძელვადიანი კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია, რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა დადგინდეს 800 მჰც და 900 მჰც რადიოსიხშირული დიაპაზონების ერთობლიობისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, მოცემული აუქციონების ფარგლებში დადგინდეს ისეთი სახის რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც შეუზღუდავს პირს აუქციონში მონაწილეობის უფლებას, თუ აუქციონის გამართვის მომენტისათვის იგი უკვე ფლობს ან აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გახდება კომისიის მიერ განსაზღვრული 1 გჰც-ს ქვემოთ არსებული მსგავსი მახასიათებლების მქონე 800 მჰც და 900 მჰც დიაპაზონების ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსის 2x25 მჰც-ზე მეტის მფლობელი.

ამავდროულად, კომისია აღნიშნავს, რომ გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით და ადეკვატური გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად, კომისია უახლოეს მომავალში გეგმავს

მობილური/უსადენო მომსახურებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს 1 გჰც-ს ზემოთ ევროპის ფარგლებში უსადენო ფართოზოლოვანი მომსახურებისთვის ჰარმონიზებული დიაპაზონები. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადიოსიხშირულ რესურსზე მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციების შესაბამისად, იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს მაღალხარისხიანი მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარებას, ყველა მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის ერთობლიობისათვის რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის (ე.წ. Overall Spectrum Cap) დაწესება, კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, საჭიროებას აღარ წარმოადგენს.

კომისია მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის გათვალისწინებით ჩატარებული აუქციონით შენარჩუნდება მობილურ/უსადენო ბაზარზე კონკურენციის დღეს არსებული მინიმალური დონე (სამი ოპერატორი) და აუქციონის დროს უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეებს შორის ზომიერი კონკურენცია. ამავე დროს მობილურ ოპერატორებს საშუალება მიეცემათ 1 გჰც-ს ქვემოთ არსებული დიაპაზონების სიხშირული რესურსით განავითარონ ქსელი რაც ქვეყნის რეგიონებისა და მოშორებული დასახლებული პუნქტების დაფარვის უზრუნველსაყოფად ძალიან მნიშვნელოვანია.

კომისია აღნიშნავს, რომ „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ კომისიის მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური უნდა დადგინდეს შესაბამისი რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე შემდეგი ფორმულით: $P = Pn \cdot C - B$ სადაც: P - რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა ლარებში; Pn - რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულება; C - ერთი ლიცენზიის ფარგლებში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა(მჰცების) ოდენობა; B - სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის სავარაუდო ღირებულების ($Pn \cdot C$) კომისიის მიერ, აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული 5%-დან 20%-მდე ფასდაკლება, რომელიც დგინდება ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და სალიცენზიო ვალდებულებების გათვალისწინებით. შესაბამისად, ყოველი კონკრეტული აუქციონის გამოცხადებისას კომისიას შესაძლებლობა აქვს კონკრეტული ლიცენზიისათვის განსაზღვრული სპეციფიკური მოთხოვნებისა და ვალდებულებების გაითვალისწინებით განსაზღვროს 5%-დან 20%-მდე ფასდაკლება და ისე გაიანგარიშოს შესაბამისი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების შეფასება ხორციელდება ბენჩმარკინგისა და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიების გამოყენებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის განსაზღვრისას უპირატესობა ენიჭება ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიას საქართველოს დემოგრაფიული, ეკონომიკური და ელექტრონული კომუნიკაციების დარგის ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA140019263) ფარგლებში გამარჯვებული კომპანიის („ფრანსკომტელკომუნიკაციონს ცენტრალური აზია და კავკასია ბი. ვი.“-ს ფილიალი საქართველოში) მიერ, ტენდერის მოთხოვნების გათვალისწინებით, განხორციელდა ბიზნეს მოდელირების მეთოდის გამოყენებით 800 მჰც, 900მჰც და დაწყვილებული 2100 მჰც დიაპაზონის შეფასება და 1მჰც რესურსის ღირებულების (დამრგვალებული მთელ რიცხვამდე) განსაზღვრა:

ა) 800 მჰც დიაპაზონში 1 მჰც-ის სავარაუდო საბაზრო ღირებულება - 2 545 494 (ორი მილიონ ხუთას ორმოცდახუთი ათას ოთხას ოთხმოცდაათობმეტი) ლარი.

ბ) 900 მჰც დიაპაზონში 1 მჰც-ის სავარაუდო საბაზრო ღირებულება - 2 469 267 (ორი მილიონ ოთხას სამოცდაცხრა ათას ორას სამოცდაშვიდი) ლარი;

გ) 1800 მჰც დიაპაზონში 1 მჰც-ის სავარაუდო საბაზრო ღირებულება - 1 423 785 (ერთი მილიონ ოთხას ოცდასამი ათას შვიდას ოთხმოცდახუთი) ლარი;

დ) დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონში 1 მჰც-ის სავარაუდო საბაზრო ღირებულება - 863 088 (რვაას სამოცდასამი ათას ოთხმოცდარვა) ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას მიაჩნია, რომ აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი ლიცენზიებისთვის რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური უნდა გაანგარიშდეს კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად, ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე, სადაც რადიოსიხშირული რესურსის სავარაუდო ღირებულების პროცენტული ფასდაკლება განსაზღვრული იქნება მინიმალური 5% - ის ოდენობით. კერძოდ:

აუქციონი	ლიცენზიის (ლოტის) ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც)	ლიცენზიის (ლოტის) სიხშირული რესურსი	შესაბამისი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური (ლარი)
№1	2 x 5	აბსტრაქტული (796-806 და 837-847 მჰც-ის ფარგლებში)	24 182 193.00
№2	2 x 5	აბსტრაქტული (796-806 და 837-847 მჰც-ის ფარგლებში)	24 182 193.00
№3	2 x 5	კონკრეტული (791-796 და 832-837 მჰც-ის ფარგლებში)	24 182 193.00
№4	2 x 5	კონკრეტული (816-821 და 857-862 მჰც)	24 182 193.00
№5	2 x 4.5	კონკრეტული (880-884.5 და 925-929.5 მჰც)	21 112 232.85
№6	2 x 5	კონკრეტული 1770-1775 და 1865-1870 მჰც)	13 525 957.50
№7	2 x 5	აბსტრაქტული (1935- 1950 და 2125-2140 მჰც-ის ფარგლებში)	8 199 336.00
№8	2 x 5	აბსტრაქტული (1935- 1950 და 2125-2140 მჰც-ის ფარგლებში)	8 199 336.00
№9	2 x 5	აბსტრაქტული (1935- 1950 და 2125-2140 მჰც-ის ფარგლებში)	8 199 336.00

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე და 47² მუხლების, „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის და მე-18 მუხლის, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული “რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებისა” და კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული “რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის” შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:

1. გამოცხადდეს №1 აუქციონი მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 10 მჰც (2X5 მჰც) სიხშირული რესურსი, 837-847მჰც და 796-806 მჰც რესურსის ფარგლებში;

შენიშვნა: ლიცენზიის მფლობელების მომიჯნავე (თანმიმდევრულ) სიხშირულ ბლოკებზე დაშვების უზრუნველყოფის მიზნით, 2X5 მჰც სიხშირული ბლოკის შესაბამისი კონკრეტული სიხშირული რესურსი (837-847 და 796-806 მჰც სიხშირული რესურსიდან) განისაზღვრება აუქციონების შედეგების გათვალისწინებით, ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით.

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: ლიცენზიის გაცემიდან 15 წელი;

დ) ტექნიკური პირობები:

დ.ა) ტექნიკური პირობები FDD საბაზო სადგურებისათვის:

დ.ა.ა) ბლოკის შიგნით EIRP-ს (ექვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე) ზედა ზღვრული მნიშვნელობა საბაზო სადგურისათვის - 64 დბმ/5 მჰც.

დ.ა.ბ) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობა:

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
FDD აპლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეები (832 მჰც-დან 862 მჰც-მდე)	-49.5 დბმ	5 მჰც

დ.ა.გ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე) FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეებისათვის (791 მჰც-დან 821 მჰც-მდე)

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
-10 მჰც-დან -5 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მჰც
-5 მჰც-დან 0 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მჰც
0 მჰც-დან +5 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მჰც
+5 მჰც-დან +10 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მჰც
FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი დანარჩენი სიხშირეებისათვის	11 დბმ	1 მჰც

დ.ა.დ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე), რომლებიც გამოყენებულია, როგორც დამცავი ზოლი (guard band)

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
790 მჰც-დან 791 მჰც-მდე	17.4 დბმ	1 მჰც
821 მჰც-დან 832 მჰც-მდე	15 დბმ	1 მჰც

დ.ა.ე) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები 790 მჰც-ს ქვემოთ მდებარე სიხშირეებისათვის

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	პირობა EIRP-ზე საბაზო სადგურის ბლოკის შიგნით, P დბმ/10მჰც	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე

470 მჰც-დან 790 მჰც-მდე	P _≥ 59	0 დბმ	8 მჰც
	36≤P<59	(P-59) დბმ	8 მჰც
	P<36	-23 დბმ	8 მჰც

დ.ბ) ტექნიკური პირობები FDD ტერმინალური სადგურებისათვის: ტერმინალური სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის შიგნით გასხივების მაქსიმალური საშუალო მნიშვნელობა - 23 დბმ.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ე.ა) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად გამოყენება;

ე.ბ) უზრუნველყოს მობილურ/უსადენო ფართოხოლოვან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს იმ დასახლებული პუნქტებისათვის (მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა), სადაც საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის და შემდგომში – უახლესი საყოველთაო აღწერის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა), შემდეგი გრაფიკით:

მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტების მინიმუმ:		
1.	30%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის ვადაში
2.	50%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ორი წლის ვადაში
3.	70% -თვის	ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის ვადაში
4.	90%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ხუთი წლის ვადაში

თუ ლიცენზიის მფლობელი კომპანია ფლობს 800/900/1800 მჰც დიაპაზონებში ერთობლივად 2x30მჰც ან მეტ სიხშირული რესურსს;

ე.გ) უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობისათვის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა შემდეგი გრაფიკით:

მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტების მინიმუმ:		
1.	30%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის ვადაში
2.	50%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ორი წლის ვადაში
3.	70% -თვის	ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის ვადაში
4.	90%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ხუთი წლის ვადაში

თუ ლიცენზიის მფლობელი კომპანია 800/900/1800 მჰც დიაპაზონებში ერთობლივად ფლობს 2x30მჰც სიხშირული რესურსზე ნაკლებს;

ე.დ) უზრუნველყოს საქართველოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულ ცენტრებში, ვიზიტორთა ცენტრებში და რეინჯერთა ცენტრებში (იხილეთ დანართი №1-ის სახით დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მოწოდებული 79 ცენტრის ჩამონათვალი, კოორდინატების მითითებით) მობილურ/უსადენო ფართოხოლოვან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ლიცენზიის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში ეტაპობრივად, თუ ლიცენზიის მფლობელი კომპანია 800/900მჰც დიაპაზონებში ერთობლივად ფლობს 2x20მჰც ან მეტ სიხშირულ რესურსს;

ე.ე) წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული დასახლებული პუნქტებისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულ ცენტრებში, ვიზიტორთა ცენტრებში და რეინჯერთა ცენტრებში -უზრუნველყოს სპექტრალური ეფექტურობა (გაზომილი ერთეულებში - ბიტი/წმ/ჰერცი და ბიტი/წმ/ჰერცი/ფიჰა) ETSI TR 136 912 V.13.0.0 (2016-01) და TR 136 913 V.13.0.0 (2016-01) ტექნიკურ დოკუმენტებში მოყვანილი მახასიათებლების შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მფლობელი მომსახურებას მიაწოდებს LTE ტექნოლოგიის გამოყენებით.

შენიშვნა: დასახლებულ პუნქტში მომსახურების ხელმისაწვდომობა არის განსაზღვრული ხარისხის მომსახურების სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოსახლეობის 100%-სთვის;

ე.ვ) კომისიის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების რადიორეგლამენტის შესაბამისად საერთაშორისო კოორდინაციისათვის განსაზღვრული

პირობებისა და კომისიის მიერ მეზობელ ქვეყნებთან საზღვრისპირა რეგიონებში რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების შესრულება;

ე.ზ) კომისიას წარმოუდგინოს ინფორმაცია საბაზო სადგურების განთავსების ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატები), ანტენის დაკიდების სიმაღლის, ანტენის ტიპის, დახრის კუთხისა და მიმართულების (აზიმუტი), ასევე თითოეული გადამცემი სადგურის ფარგლებში გამოყენებული სიხშირული ზოლის შესახებ;

ე.თ) ხელშეშლების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს მომიჯნავე რადიოსიხშირული ბლოკით მოსარგებლე ლიცენზიის მფლობელთან ერთად რადიოსიხშირული რესურსის კოორდინირებულად გამოყენება;

ე.ი) 827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის ფარგლებში დანერგილი ქსელისათვის, ხელშეშლების შექმნის შემთხვევაში, უზრუნველყოს ამგვარი ხელშეშლების აღმოფხვრა. ხელშეშლების აღმოფხვრის ვალდებულება ძალაშია კომისიის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47³ მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, სს „სილქნეტის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F11 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე;

ე.კ) ლიცენზიის მიღებიდან 2 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 50%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ე.ლ) (ბაზარზე არსებული 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში ლიცენზიის მფლობელებისათვის დამატებითი პირობა) ლიცენზიით განსაზღვრული რესურსისა და 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი ერთი ან ერთზე მეტი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 90%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ე.მ) (ბაზარზე ახალშემომსვლელი ლიცენზიის მფლობელებისათვის (რომელიც არ ფლობს 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში სიხშირულ რესურსს) დამატებითი პირობა) ლიცენზიის მიღებიდან 5 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსისა და სხვა ლიბერალიზებულ დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 90%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ე.ნ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი პირობების დადგომისთანავე, კომისია უფლებამოსილი იქნება დამატებითი ვადა და პირობები განუსაზღვროს ლიცენზიის მფლობელს დაფარვის ვალდებულების შესასრულებლად;

2. გამოცხადდეს №2 აუქციონი მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 10 მჰც (2X5 მჰც) სიხშირული რესურსი, 837-847მჰც და 796-806 მჰც რესურსის ფარგლებში;

შენიშვნა: ლიცენზიის მფლობელების მომიჯნავე (თანმიმდევრულ) სიხშირულ ბლოკებზე დაშვების უზრუნველყოფის მიზნით, 2X5 მჰც სიხშირული ბლოკის შესაბამისი კონკრეტული სიხშირული რესურსი (837-847 და 796-806 მჰც სიხშირული რესურსიდან) განისაზღვრება აუქციონების შედეგების გათვალისწინებით, ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით.

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: ლიცენზიის გაცემიდან 15 წელი;

დ) ტექნიკური პირობები:

და) ტექნიკური პირობები FDD საბაზო სადგურებისათვის:

დ.ა.ა) ბლოკის შიგნით EIRP-ს (ექვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე) ზედა ზღვრული მნიშვნელობა საბაზო სადგურისათვის - 64 დბმ/5 მჰც.

დ.ა.ბ) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობა:

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
FDD აპლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეები (832 მჰც-დან 862 მჰც-მდე)	-49.5 დბმ	5 მჰც

დ.ა.გ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე) FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეებისათვის (791 მჰც-დან 821 მჰც-მდე)

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
-10 მჰც-დან -5 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მჰც
-5 მჰც-დან 0 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მჰც
0 მჰც-დან +5 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მჰც
+5 მჰც-დან +10 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მჰც
FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი დანარჩენი სიხშირეებისათვის	11 დბმ	1 მჰც

დ.ა.დ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე), რომლებიც გამოყენებულია, როგორც დამცავი ზოლი (guard band)

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
790 მჰც-დან 791 მჰც-მდე	17.4 დბმ	1 მჰც
821 მჰც-დან 832 მჰც-მდე	15 დბმ	1 მჰც

დ.ა.ე) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები 790 მჰც-ს ქვემოთ მდებარე სიხშირეებისათვის

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	პირობა EIRP-ზე საბაზო სადგურის ბლოკის შიგნით, P დბმ/10მჰც	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
470 მჰც-დან 790 მჰც-მდე	$P \geq 59$	0 დბმ	8 მჰც
	$36 \leq P < 59$	(P-59) დბმ	8 მჰც
	$P < 36$	-23 დბმ	8 მჰც

დ.ბ) ტექნიკური პირობები FDD ტერმინალური სადგურებისათვის: ტერმინალური სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის შიგნით გასხივების მაქსიმალური საშუალო მნიშვნელობა - 23 დბმ.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ე.ა) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის წინამდებარე გადაწყვეტილების მეორე პუნქტის დ)

ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად გამოყენება;

ე.ბ) უზრუნველყოს მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს იმ დასახლებული პუნქტებისათვის (მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა), სადაც საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის და შემდგომში – უახლესი საყოველთაო აღწერის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა), შემდეგი გრაფიკით:

მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტების მინიმუმ:		
1.	30%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის ვადაში
2.	50%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ორი წლის ვადაში
3.	70% -თვის	ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის ვადაში
4.	90%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ხუთი წლის ვადაში

თუ ლიცენზიის მფლობელი კომპანია ფლობს 800/900/1800 მჰც დიაპაზონებში ერთობლივად 2x30მჰც ან მეტ სიხშირული რესურსს;

ე.გ) უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობისათვის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა შემდეგი გრაფიკით:

მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტების მინიმუმ:		
1.	30%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის ვადაში
2.	50%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ორი წლის ვადაში
3.	70% -თვის	ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის ვადაში
4.	90%-თვის	ლიცენზიის მიღებიდან ხუთი წლის ვადაში

თუ ლიცენზიის მფლობელი კომპანია 800/900/1800 მჰც დიაპაზონებში ერთობლივად ფლობს 2x30მჰც სიხშირული რესურსზე ნაკლებს;

ე.დ) უზრუნველყოს საქართველოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულ ცენტრებში, ვიზიტორთა ცენტრებში და რეინჯერთა ცენტრებში (იხილეთ დანართი №1-ის სახით დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მოწოდებული 79 ცენტრის ჩამონათვალი, კოორდინატების მითითებით) მობილურ/უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ლიცენზიის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში ეტაპობრივად, თუ ლიცენზიის მფლობელი კომპანია 800/900მჰც დიაპაზონებში ერთობლივად ფლობს 2x20მჰც ან მეტ სიხშირულ რესურსს;

ე.ე) წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული დასახლებული პუნქტებისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულ ცენტრებში, ვიზიტორთა ცენტრებში და რეინჯერთა ცენტრებში -უზრუნველყოს სპექტრალური ეფექტურობა (გაზომილი ერთეულებში - ბიტი/წმ/ჰერცი და ბიტი/წმ/ჰერცი/ფიჰა) ETSI TR 136 912 V.13.0.0 (2016-01) და TR 136 913 V.13.0.0 (2016-01) ტექნიკურ დოკუმენტებში მოყვანილი მახასიათებლების შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მფლობელი მომსახურებას მიაწოდებს LTE ტექნოლოგიის გამოყენებით.

შენიშვნა: დასახლებულ პუნქტში მომსახურების ხელმისაწვდომობა არის განსაზღვრული ხარისხის მომსახურების სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოსახლეობის 100%-სთვის;

ე.ვ) კომისიის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების რადიორეგლამენტის შესაბამისად საერთაშორისო კოორდინაციისათვის განსაზღვრული პირობებისა და კომისიის მიერ მეზობელ ქვეყნებთან საზღვრისპირა რეგიონებში რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების შესრულება;

ე.ზ) კომისიას წარმოუდგინოს ინფორმაცია საბაზო სადგურების განთავსების ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატები), ანტენის დაკიდების სიმაღლის, ანტენის ტიპის, დახრის კუთხისა და მიმართულების (აზიმუტი), ასევე თითოეული გადამცემი სადგურის ფარგლებში გამოყენებული სიხშირული ზოლის შესახებ;

ე.თ) ხელშეშლების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს მომიჯნავე რადიოსიხშირული ბლოკით მოსარგებლე ლიცენზიის მფლობელთან ერთად რადიოსიხშირული რესურსის კოორდინირებულად გამოყენება;

ე.ი) 827.955-831.645 მჰც და 872.955- 876.645 მჰც რესურსის ფარგლებში დანერგილი ქსელისათვის, ხელშეშლების შექმნის შემთხვევაში, უზრუნველყოს ამგვარი ხელშეშლების აღმოფხვრა. ხელშეშლების აღმოფხვრის ვალდებულება ძალაშია კომისიის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47³ მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, სს

„სილქნეტის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F11 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე;

ე.კ) ლიცენზიის მიღებიდან 2 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 50%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ე.ლ) (ბაზარზე არსებული 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში ლიცენზიის მფლობელებისათვის დამატებითი პირობა) ლიცენზიით განსაზღვრული რესურსისა და 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი ერთი ან ერთზე მეტი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 90%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ე.მ) (ბაზარზე ახალშემომსვლელი ლიცენზიის მფლობელებისათვის (რომელიც არ ფლობს 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში სიხშირულ რესურსს) დამატებითი პირობა) ლიცენზიის მიღებიდან 5 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსისა და სხვა ლიბერალიზებულ დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 90%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ე.ნ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი პირობების დადგომისთანავე, კომისია უფლებამოსილი იქნება დამატებითი ვადა და პირობები განუსაზღვროს ლიცენზიის მფლობელს დაფარვის ვალდებულების შესასრულებლად;

3. გამოცხადდეს №3 აუქციონი მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 10 მჰც (2X5 მჰც) სიხშირული რესურსი, 832-837მჰც და 791-796 მჰც აგრეთვე რესურსის ფარგლებში;

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: ლიცენზიის გაცემიდან 15 წელი;

დ) ტექნიკური პირობები:

დ.ა) ტექნიკური პირობები FDD საბაზო სადგურებისათვის:

დ.ა.ა) ბლოკის შიგნით EIRP-ს (ექვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე) ზედა ზღვრული მნიშვნელობა საბაზო სადგურისათვის - 64 დბმ/5 მჰც.

დ.ა.ბ) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობა:

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
FDD აპლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეები (832 მჰც-დან 862 მჰც-მდე)	-49.5 დბმ	5 მჰც

დ.ა.გ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე) FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეებისათვის (791 მჰც-დან 821 მჰც-მდე)

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
-10 მჰც-დან -5 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მჰც
-5 მჰც-დან 0 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მჰც

0 მჰც-დან +5 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მჰც
+5 მჰც-დან +10 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მჰც
FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი დანარჩენი სიხშირეებისათვის	11 დბმ	1 მჰც

დ.ა.დ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე), რომლებიც გამოყენებულია, როგორც დამცავი ზოლი (guard band)

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
790 მჰც-დან 791 მჰც-მდე	17.4 დბმ	1 მჰც
821 მჰც-დან 832 მჰც-მდე	15 დბმ	1 მჰც

დ.ა.ე) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები 790 მჰც-ს ქვემოთ მდებარე სიხშირეებისათვის

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	პირობა EIRP-ზე საბაზო სადგურის ბლოკის შიგნით, P დბმ/10მჰც	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
470 მჰც-დან 790 მჰც-მდე	$P \geq 59$	0 დბმ	8 მჰც
	$36 \leq P < 59$	(P-59) დბმ	8 მჰც
	$P < 36$	-23 დბმ	8 მჰც

დ.ბ) ტექნიკური პირობები FDD ტერმინალური სადგურებისათვის: ტერმინალური სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის შიგნით გასხივების მაქსიმალური საშუალო მნიშვნელობა - 23 დბმ.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ე.ა) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის წინამდებარე გადაწყვეტილების მესამე პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად გამოყენება;

